

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
ხელნაწერის უფლებით

ხათუნა მამაიაშვილი

ეგზოგენური ფერმენტული პრეპარატების გამოყენებით წითელ
ღვინოში სტაბილური ფენოლური და პოლიფენოლური
ნაერთების მასური კონცენტრაციის გაზრდა და გაწებვის
ოპტიმალური სქემის შემუშავება

დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად
წარდგენილი დისერტაციის

ა ვ ტ ო რ ე ფ ე რ ა ტ ი

თბილისი
2012 წელი

სამუშაო შესრულებულია საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
ქიმიური ტექნოლოგიისა და მეტალურგიის ფაკულტეტის
ქიმიური და ბიოლოგიური ტექნოლოგიების დეპარტამენტის
პროცესების აპარატების და ზოგადი ქიმიური ტექნოლოგიების
მიმართულებაზე

სამეცნიერო ხელმძღვანელი:

ასოც. პროფესორი:

მარიამ ხომასურიძე

რეცენზენტები: -----

დაცვა შედგება 2012 წლის "----" -----, ----- საათზე
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ქიმიური ტექნოლოგიისა და
მეტალურგიის ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს
სხდომაზე, კორპუსი II , აუდიტორია -----
მისამართი: 0175, თბილისი, კოსტავას 77.

დისერტაციის გაცნობა შეიძლება სტუ-ს
ბიბლიოთეკაში, ხოლო ავტორეფერატის - ფაკულტეტის ვებ-გვერდზე

სადისერტაციო საბჭოს მდივანი:

ნაშრომის ზოგადი დახასიათება

თემის აქტუალურობა: ღვინო წარმოადგენს საქართველოს ტრადიციულ საექსპორტო პროდუქტს, რომლის წილი მთლიან ექსპორტში წინა წლებთან შედარებით ამჟამად საკმაოდ შემცირებულია. ქვეყნის ეკონომიკის განვითარებისა და დარგის გადარჩენისათვის საჭიროა ახალი ბაზრების დამკვიდრება, ეს კი მოითხოვს ხარისხის გაუმჯობესებასა და სიახლეების დანერგვას. იმისათვის, რომ დავამზადოთ ბაზრის მოთხოვნების შესაბამისი ღვინოპროდუქტია საჭიროა წარმოების პროცესში თანამედროვე ტენდენციების გათვალისწინება და დანერგვა.

დღეს მსოფლიო მასშტაბით ფერმენტული პრეპარატების გამოყენება ახალ და პერსპექტიულ მიმართულებად ითვლება. ფერმენტული რეაქციების სასურველი მიმართულებით წარმართვა ხელს უწყობს ტექნოლოგიური პროცესების სრულყოფას და ზრდის პროდუქციის ხარისხს. წითელი ღვინის ტექნოლოგიური პროცესი ითვალისწინებს ტექნიკისა და ჭაჭის კონტაქტს (ანუ ჭაჭაზე დუღილს), ყურძნის კანიდან და წიპტიდან ტექნიკის სხვადასხვა თრგანული ნაერთების ექსტრაქციის პროცესი ანუ მაცერაცია, პირდაპირ დამოკიდებულია ტექნოლოგიურ რეჟიმსა და გამოყენებული ფერმენტული პრეპარატის აქტივობაზე.

საქართველოში იმპორტირებული ფერმენტული პრეპარატები ძირითადად ევროპული წარმოებისაა და მათი ზეგავლენა ქართული ღვინის ჯიშურ მახასიათებლებზე არც ისე კარგადაა შესწავლილი. ევროპული წარმოების ეგზოგენური ფერმენტული პრეპარატების გამოყენებისას გასათვალისწინებელია ქართული ყურძნის მდიდარი კომპოზიცია და ჯიშური თავისებურებანი, რათა არ დაირღვეს დასამზადებელი ღვინის ტიპიურობა. მაღალხარისხოვანი ღვინის დასამაზადებლად სწორედ უნდა იქნეს შერჩეული ფერმენტული პრეპარატი, მაცერაციის ხანგძლივობა და ტემპერატურა.

დღეს ენოლოგიურ პრაქტიკაში თანამედროვე ტენდენციად მიჩნეულია ტექნიკის ალკოჰოლური დუღილის დაბალი ტემპერატურული რეჟიმების გამოყენებით, ინტენსიური შეფერილობის მქონე, არომატული

ნაერთებით მდიდარი ღვინის დამზადება. ასევე ეგზოგენური ფერმენტული პრეპარატებით დურდოს მაცერაცია ანტიოქსიდანური ნაერთებით მდიდარი ღვინის წარმოების მიზნით, რაც გარკვეულ წილად, მარკეტინგული თვალსაზრიზით ძალზედ მომგებიანია. სწორედ ასეთ ღვინოებზეა დღეს მოთხოვნა მსოფლიო ბაზარზე.

ადრეულ წლებში ქართულ ღვინოს მყარად ჰქონდა დამკვიდრებული ადგილი ყოფილი საბჭოთა ქვეყნების ბაზარზე და მაღალი იყო მისი რეალიზაციის დონე, ჩამოსხმული პროდუქცია არ საჭიროებდა დიდი ხნით შენახვას და ასევე მოკლე იყო მისი ტრანსპორტირების ვადები. დღეს კი, განსაკუთრებით რუსეთის ფედერაციის მიერ ემბარგოს გამოცხადების შემდეგ, ქართული ღვინოპროდუქცია ახალი ბაზრების ძიების პროცესშია და ჩამოსხმის შემდგომ ღვინო ხანგძლივი პერიოდი ყოვნდება. თანამედროვე პროდუქტი უნდა გამოირჩეოდეს მდიდარი შედგენილობით, მრავალი სასარგებლო ნაერთის როგორი კომპოზიციით. ღვინოს, როგორც პოლიდისეპერსიულ სისტემას, ახასიათებს მუდმივი გამოლექვისადმი მიდრეკილება. აუცილებელია ღვინის სიწმინდისა და მდგრადობის უზრუნველყოფა, რათა მან არ დაკარგოს სასაქონლო სახე. ადგილობრივ საწარმოებში სტაბილიზაციისათვის განკუთვნილი, თანამედროვე მასალების გამოყენების ამ ხვრივ დაგროვილი გამოცდილება მწირია და პრობლემის გადაჭრა საჭიროებს განახლებული ტექნოლოგიის დანერგვას.

კვლევის მიზანს წარმოადგენს წითელი ღვინის ტექნოლოგიური პროცესის სრულყოფა თანამედროვე ტენდენციების გათვალისწინებით: ეგზოგენური ფერმენტული პრეპარატების გამოყენებით და პრეფერმენტაციული მაცერაციის რეჟიმისა და ხანგძლივობის რეგულირების გზით. საფერავისა და თავკვერის ყურძნის ჯიშებიდან ბაზრის მოთხოვნების შესაბამისი, ანტიოქსიდანტური ნაერთებით მდიდარი, მაღალი კვებითი ღირებულების და დადებითი ორგანოლეპტიკური მაჩვენებლების (არომატული და ჰარმონიული) ღვინოპროდუქციის დამზადების ოპტიმალური სქემის შემუშავება.

კვლევის ობიექტია მეღვინეობის პრაქტიკაში არსებული თანამედროვე ტენდენციების გათვალისწინებით, ქართული ვაზის ჯიშების: საფერავისა და თავკვერის ყურძნიდან მიღებული ღვინომასალა.

მეცნიერული სიახლე: კვლევის მიმდინარეობისას საქართველოში პირველად შესწავლილი იქნა:

- ✓ ქართულ ბაზარზე არსებული, თანამედროვე ეგზოგენური ფერმენტული პრეპარატების ზეგავლენა ქართული ღვინის ფიზიკურ-ქიმიურ მაჩვენებლებზე.
- ✓ პრეცერმენტაციული მაცერაციის ტემპერატურული რეჟიმისა და ხანგძლივობის ზეგავლენა საფერავისა და თავპერის ჯიშის ყურძნისაგან დამზადებულ ღვინომასალებში ფენოლური და პოლიფენოლური ნაერთების შემცველობაზე.
- ✓ დადგენილი იქნა ქართულ ღვინომასალებში მსოფლიო მასშტაბით ესოდენ პოპულარული, ღვინოში შემავალი სტილბენური ნაერთის - რეზვერატროლის შემცველობის რეგულირების გზები.
- ✓ შემუშავებული იქნა ქართული წითელი ღვინომასალებისათვის ხშირად დამახასიათებელი შექცევადი კოლოიდური, პოლიფენოლური და ცილოვანი სიმღვრივის სტაბილიზაციის თპტიმალური ტექნოლოგიური სქემა – ფრანგული, კერძოდ კი შამპანის ენოლოგიის ინსტიტუტის მიერ დამზადებული მასალების გამოყენებით.

ნაშრომის პრაქტიკული მნიშვნელობა: დასახული მიზნის

მისაღწევად შესწავლილი იქნა ევროპის წამყვან მედვინეობის ქვეყნებში წარმოებული და დანერგილი, ქართულ ბაზარზე იმპორტირებული და ადგილობრივი მეწარმეებისათვის ხელმისაწვდომი ეგზოგენური ფერმენტული პრეპარატების ეფექტურობა და ზეგავლენა ქართული ღვინის ფიზიკურ-ქიმიურ შედგენილობაზე, ასევე არომატული, ფენოლური, პოლიფენოლური ნაერთებისა და რეზვერატროლის შემცველობაზე. თანამედროვე ტენდენციების გათვალისწინებით, შემუშავებული იქნა საფერავისა და თავპერის ყურძნის ჯიშებიდან ფენოლური, პოლიფენოლური ნაერთებით და რეზვერატროლით მდიდარი, გამოხატული ჯიშური არომატითა და დადებითი გემოვნური თვისებების (ზედმეტი სიმწკლარტისა და სიმწარის გარეშე) მქონე ღვინომასალების დამზადების ოპტიმალური ტექნოლოგიური სქემა.

კვლევის შედეგებზე დაყრდნობით, შედგენილი იქნა ცალკეული ყურძნის ჯიშისაგან მიღებული ღვინის სტაბილიზაციის თპტიმალური

სქემა მდგრადი ფენოლური ნაერთების მინიმალური დალექციის ხარჯზე. ექსპერიმენტი ჩატარებული იქნა წარმოებისათვის მაქსიმალურად მიახლოებულ პირობებში. კვლევის დასრულების შემდეგ განხორციელდა შემუშავებული ოპტიმალური სქემის საწარმოო გამოცდა. მიღებული შედეგები და კვლევის სხვადასხვა ეტაპზე გამოკვეთილი ტენდენციები, გამოსადეგარი და სასარგებლოა ქართველი მწარმოებლებისათვის. შედეგების გათვალისწინება ხელს შეუწყობს ქართული ლინიპროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებას, რენტაბელური პროდუქციის დამზადებას, რათა საქართველოდან ექსპორტირებული ლინიპ აკმაყოფილებებს მსოფლიო ბაზრის მოთხოვნებს.

სამუშაოს აპრობაცია: სადისერტაციო ნაშრომის ძირითადი დებულებები მოხსენიებული და განხილული იქნა 78-ე დია საერთაშორისო კონფერენციაზე (თბილისი, 2010), ასევე 79-ე დია საერთაშორისო კონფერენციაზე (თბილისი, 2011), რესპუბლიკურ კონფერენციაზე – Republic Conference of Young Scientists "CHEMISTRY TODAY" (თბილისი, 2011); საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციაზე "ქალი და XXI საუკუნე" (თბილისი, 2011); 2nd INTERNATIONAL CONFERENCE ON ORGANIC CHEMISTRY "Advances in Heterocyclic Chemistry. 2011, Tbilisi, Georgia.

დისერტაციის მოცულობა და სტრუქტურა: დისერტაცია შედგება 127 ხაბეჭდი გვერდისაგან. დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი დისერტაციის გაფორმების ინსტრუქციის მიხედვით, მოიცავს სატიტულო გვერდს, ხელმოწერების გვერდს, რეზიუმეს ორ ენაზე (ქართული, ინგლისური), შინაარსს, ცხრილების ნუსხას, სურათების ნუსხას, სქემების და დიაგრამების ნუსხას.

ძირითადი ტექსტი შეიცავს: შესავალს, ლიტერატურის მიმოხილვას, შედეგების განსჯას, დასკვნას, გამოყენებული ლიტერატურის ჩამონათვალს და დანართს.

შესავალში განხილულია ომის ატუალურობა, კვლევის მიზნები, კვლევის ობიექტი, ნაშრომის მეცნიერული სიახლე და მისი პრაქტიკული მნიშვნელობა.

სამუშაოს ძირითადი შინაარსი

1. ლიტერატურის მიმოხილვა

დისერტაციის ამ ნაწილში სხვადასხვა წყაროზე დაყრდნობით განხილულია შემდეგი საკითხები:

- ✓ ლვინის ანტიოქსიდანტური ნაერთები და მათი ზეგავლენა ადამიანის ორგანიზმზე.
- ✓ დურდოს მაცერაცია და ფერმენტული პრეპარატები.
- ✓ ტექნოლოგიური ოპერაციების ზეგავლენა ლვინოში რეზვერატ-როლის შემცველობაზე.
- ✓ ლვინის არომატული ნაერთები.
- ✓ ლვინის სტაბილიზაცია.

სხვადასხვა კვლევებზე დაყრდნობით დასაბუთებულია, ზომიერად მოხმარების შემთხვევაში, ლვინის დადებითი ზეგავლენა ადამიანის ორგანიზმზე, კერძოდ, ხაზგასმულია წითელი ლვინის ფენოლური ნაერთების როლზე, მათი ანტიოქსიდანტური თვისებების გამო. მათ ახასიათებთ ანტიკარცენოგენური, ანტისკლეროტული, ანთების საწინააღმდეგო, ანტიალერგიული, რადიოპროტექტორული, ნაღველმდენი და სხვა მრავალი დადებითი თვისება.

რეზვერატროლი არის ლვინის ერთ-ერთი სტაბილიზენური ნაერთი, რომელიც წარმოიქმნება ყურძნის ნაყოფის ფორმირებისას, შესაბამისი ფერმენტის მიერ სტაბილიზის სინთეზით. ლვინოში ზოგადად წარმოდგენილია ორი ფორმით: ცის და ტრანს ფორმით. მთელი რიგი მეცნიერული კვლევების საფუძველზე დადგენილია, რომ რეზვერატროლი ასუფთავებს ორგანიზმს თავისუფალი რადიკალებისაგან და ამცირებს გულსისძარღვთა დაგვადების განვითარების რისკს. აღნიშნულ ქვეთავში სხვადასხვა წყაროზე დაყრდნობით, საუბარია ლვინის ტექნოლოგიური საფეხურების სრულყოფაზე რეზვერატროლით მდიდარი პროდუქციის მიღების მიზნით, ასევე განხილულია ლვინის არომატისა და ბუკეტის ჩამოყალიბებაში მონაწილე არომატული კომპონენტები.

მსოფლიო ბაზარზე წარმოდგენილი ლვინოპროდუქცია გამოირჩევა არომატულობითა და ბუკეტით, რასაც გარკვეულ წილად ყურძნის ჯიშური არომატის გარდა, სწორი ტექნოლოგიური პროცესი განაპირო-

ბებს. აღნიშნულ ქვეთავში სხვადასხვა კვლევების მონაცემების მიხედვით, წარმოდგენილია რეკომენდაციები ხარისხიანი, გემოზე პარმონიული, მდიდარი არომატის მქონე ლვინოპროდუქტის მისაღებად.

ხარისხიანი ლვინისადმი წაყენებულ მრავალ მოთხოვნათა შორის, ლვინის მდგრადობა მზა პროდუქტის ხარისხის მაჩვენებელი ერთ-ერთი ძირითადი პარამეტრია. თუ ლვინოში შეტივნარებულ მდგომარეობაში იმუოფება კოლიდური ნაწილაკები, ან ფორმირებულია ლექი, პროდუქტიას ეკარგება სასაქონლო სახე და მიუღებელია მისი რეალიზაცია.

სტაბილიზაციის ძირითად მიზანს წარმოადგენს, შენახვის სხვადასხვა პირობებში, ლვინის გამჭირვალობისა და მდგრადობის ხანგრძლივად შენარჩუნება. ქვეთავში საუბარია ლვინის სიმღვრივის გამომწვევ ფაქტორებსა და მათთან ბრძოლის ხერხებზე, ასევე სტაბილიზაციისათვის პრაქტიკაში გამოყენებულ მასალებსა და მათი გამოყენების პირობებზე.

2. შედეგები და მათი განსჯა

იგი წარმოდგენილია შემდეგი ქვეთავებით:

- ✓ კველევის ობიექტები, გამოყენებული მეთოდები და მასალები, რომელიც თავის მხრივ შემდეგ საკითხებს მოიცავს:
 1. ყურძნის ჯიშები;
 2. ფერმენტული პრეპარატები;
 3. კულტურული საფუვრები, სულფიტაციისათვის და სტაბილიზაციისათვის განცუთვნილი პრეპარატები;
 4. გამოყენებული მეთოდები.

ამ ნაწილში ძირითადად განხილულია ექსპერიმენტის განსახორციელებლად გამოყენებული მასალები, უფრო კონკრეტულად ლვინის დასამზადებლად შერჩეული ვაზის ჯიშების, თავკვერისა და საფერავის დახასიათება, ასევე გამოყენებული ფერმენტული პრეპარატების, კულტურული საფუვრების, სულფიტაციისათვის და ლვინომასალების სტაბილიზაციისათვის საჭირო მასალების მოხმარების ინსტრუქციები, მწარმოებლის მიერ რეკომენდირებული დოზები და პირობები.

ასევე, წარმოდგენილია დგინომასალებში ფიზიკურ-ქიმიური პარამეტრების განსაზღვრისათვის შესაბამისი მეთოდების ჩამონათვალი:

1. ტბილის შაქრიანობა – ყურძნის წვენში შაქრის განსაზღვრა რეფრეაქტომეტრული მეთოდით;
2. ეთილის სპირტის მოცულობითი წილის – ეთილის სპირტის მოცულობითი წილის განსაზღვრა სპირტომეტრის საშუალებით;
3. ტიტრული მჟავების მასის კონცენტრაცია დგინის მაჟავაზე გადაანგარიშებით – ტბილისა და დგინის მჟავიანობის განსაზღვრა აციდომეტრული მეთოდით.
4. აქროლადი მჟავების მასის კონცენტრაცია ძმრის მჟავაზე გადაანგარიშებით – Volatile Acidity- MA-E-AS313-02-ACIVOL;
5. შაქრების მასის კონცენტრაცია - ბერტრანის მეთოდი;
6. დაყვანილი ექსტრაქტის მასის კონცენტრაცია – Total dry matter (A3)-MA-E-AS2-03-EXTSEC;
7. პოლიფენოლური ნაერთების მასის კონცენტრაცია - Determination of nine major Anthocyanins in red and rosé wines; MA-E-AS315-11-ANCYAN;
1. საერთო ფენოლური ნაერთების მასის კონცენტრაცია – Folin-Ciocalteu Index; MA-E-AS2-10-INDFOL;
2. თავისუფალი და საერთო გოგირდოვანი მჟავას მასის კონცენტრაცია – გოგირდოვანი მჟავას საერთო რაოდენობის განსაზღვრა იოდომეტრული მეთოდით;
3. სიმღვრივე-Wine turbidity; MA-E-AS2-08-TURBID;

ცის და ტრანს რეზვერატროლის მასის კონცენტრაცია – Determination of resveratrol high performance liquid chromatography HPLC.

შემდეგ ქვეთავს წარმოადგენს:

- ✓ საკონტროლო და ექსპერიმენტული ნიმუშების მომზადება.
დისერტაციის ამ ნაწილში დეტალურადაა წარმოდგენილი საკონტროლო და ექსპერიმენტული ნიმუშების მომზადება: ექსპერიმენტის განსახორციელებლად საკონტროლო და საკვლევი ნიმუშები დამზადებული იქნა თავკვერისა და საფერავის ჯიშის ყურძნისაგან, რომელიც მოწეული იქნა კახეთის მეღვინეობის ზონაში, კერძოდ კი საგარეჯოს რაიონში, მოსავლის წელი – 2010. მიღებულ ყურძნეს

გაეცალა კლერტი და დაიჭყლიტა მცირე წარმადობის პრესზი. საკონტროლო ნიმუშების მომზადებისათვის საჭირო დურდოს გარკვეული ნაწილი სულფიტაციისა და ფერმენტული პრეპარატებით მაცერაციის გარეშე, ალკოჰოლური დუღილის განსახორციელებლად, გადატანილი იქნა სამადულრე ჭურჭელში. დურდოს ალკოჰოლური დუღილი წარიმართა მთლიანად საფუვრის ველური რასების ხარჯზე.

საკვლევი ნიმუშების მომზადებისათვის ველური მიკროფლორის ინპიბაციის მიზნით, დურდო სულფიტირებული იქნა კალიუმის მეტაბისულფიტის 40%-იანი წყალხსნარით ($120\text{g}/100\text{g}$ დურდოზე). თანამედროვე ტენდენციების გათვალისწინებით, ექსპერიმენტის დაგეგმვისას შერჩეული იქნა დურდოს პრეფერმენტაციული მაცერაციის განსახორციელების დაბალტემპერატურულ რეჟიმი.

თითოეული ჯიშის ყურძნის შემთხვევაში სულფიტირებული დურდო დაყოფილი იქნა 9-9 თანაბარ ნაწილად.

პრეფერმენტაციული მაცერაციისას, დურდოში შეტანილი იქნა საქართველოში იმპორტირებული ფრანგული და გერმანული წარმოების, ერთი და იგივე დანიშნულებისა და აქტივობის სამი სხვადასხვა დასახელების ფერმენტული პრეპარატი. ნიმუშების პრეფერმენტაციული მაცერაცია განსახორციელდა დაბალტემპერატურულ რეჟიმში - $8-14^{\circ}\text{C}$ -ზე 15, 25 და 35 საათის ხანგრძლივობით. თითოეული ნიმუშისათვის წინასწარ განსაზღვრული მაცერაციის დროის გასვლის შემდგომ, დურდოს ტემპერატურა გაიზარდა 20°C -მდე, საფუვრის დედოს შეტანისას თერმული შოკის თავიდან არიდების მიზნით. გამოყენებული ფერმენტული პრეპარატები და ნიმუშებში შეტანილი კულტურული საფუვრის რასები შესაბამისი დოზებით ხაჩვენებია ცხრილში 1.

ცხრილი 1. საკვლევი ნიმუშების მომზადებისას გამოყენებული ფერმენტული პრეპარატები და მშრალი კულტურული საფუვრები

ზერმენტული პრეპარატი	მწარმოებელი კომპანია	დოზა 100 გბ. დურდოზე	საფუვრის წმინდა კულტურა	მწარმოებელი კომპანია	გ/პლ.
„EXTRAZIM“	შამპანის ენოლოგიის ინსტიტუტი	2გ.	IOCR 9002	შამპანის ენოლოგიის ინსტიტუტი	20
„Lafaze He Grand Cru“	“La FFORT“	2გ.	ACTIFLORE ® BO213	“La FFORT“	20
“Panzym ClairRapide G”	“Begerow“	2გ.	SIHA Active Yeast 7	“Begerow“	20

ტიპიურობიდან გამომდინარე, არომატული კომპონენტების მაქსიმალურად შენარჩუნების მიზნით. თავავერის ჯიშის ყურძნისაგან დამზადებული ღვინომასალის ალკოჰოლური დუღილი წარმართული იქნა დაბალ ტემპერატურაზე ($18-22^{\circ}\text{C}$), ალკოჰოლური დუღილი გაგრძელდა 14 დღე.

საფერავის ჯიშის ყურძნისაგან დამზადებულ ღვინოს მოეთხოვება მეტი ექსტრაქტულობა და ინტენსიური შეფერილობა, შესაბამისად ფერემენტაცია წარმართული იქნა $25-28^{\circ}\text{C}$ -ზე.

ტიპიურობის გათვალისწინების გარდა სხვადასხვა ჯიშის ყურძნის შემთხვევაში სხვადასხვა ტემპერატურულ რეჟიმი და ხანგძლივობა გამოყენებული იქნა კლასიკური ტექნოლოგიით გათვალისწინებული და დაბალ ტემპერატურაზე ღვინის დადუღების მეთოდების ერთმანეთისათვის შედარებისა და ნიმუშებში არომატული ნაერთების შემცველობის შესწავლის მიზნით.

ალკოჰოლური დუღილის დასრულების შემდგომ განხორციელებული იქნა დურდოს პრესირება, სულფიტაცია და სამჯერადი დეკანტაცია: ორჯერ სამ-სამი კვირის და ერთხელ 3 თვის შემდეგ. აღსანიშნავია, რომ თითოეული დეკანტაციისას ხორციელდებოდა მხოლოდ საკვლევი ნიმუშების სულფიტაცია კალიუმის მეტაბისულფიტით (30 გ/ლ-ზე).

დისერტაციის შემდეგი ქვეთავია:

✓ მიღებული შედეგები და მათი ანალიზი

ლაბორატორიული კვლევების საფუძველზე, დარგის მარეგლა-მენტირებელ დოკუმენტაციასთან პროდუქციის შესაბამისობის მიზნით,

განსაზღვრული იქნა საკონტროლო და ექსპერიმენტული ნიმუშების ფიზიკურ-ქიმიური მაჩვენებლები, რადგანაც შეუსაბამობის შემთხვევაში კანონის თანახმად მიღებული პროდუქცია იკრძალება მოხმარებისა და რეალიზაციისავის. ანალიზის შედეგები მოცემულია ქვემოთ მოყვანილ ცხრილებზე.

ცხრილი 2. თავკვერის ჯიშის ყურძნიდან მიღებული დგინომასალების ფიზიკურ-ქიმიური პარამეტრები

ნიმუში	მაცერაციის სანცრიფონა, სთ.	ეთილის სპირტის მოც.შილი %	ტიტრული მჟავები გ/ლ	აქროლადი მჟავები გ/ლ	შაქერის შეცვლელის %	საერთო გზგირდი გბ/ლ.	დაჭანილი ექსტრაქტი გ/ლ	პოლიფენოლები გბ/ლ
თავკვერი საკონტრო- ლო	-	10.7	6.05	0.57	2.32	-	24.2	442
თავკვერი შამპ.-ის ენოლოგიის ინსტიტუტი	15	12.6	7.50	0.55	0.80	138	25.6	571
	25	12.8	7.60	0.59	0.77	139	29.8	588
	35	12.9	7.69	0.63	0.54	139	31.5	601
თავკვერი “ლა ფორტე”	15	12.5	7.50	0.52	0.82	142	25.1	457
	25	12.6	7.55	0.54	0.80	143	27.3	470
	35	12.8	7.58	0.54	0.77	143	30.4	483
თავკვერი “ბიგეროუ”	15	12.1	7.1	0.55	0.86	145	25.4	505
	25	12.4	7.0	0.56	0.83	145	27.9	523
	35	12.5	7.0	0.56	0.82	146	30.7	544

ცხრილი 3.საფერავის ჯიშის ყურძნიდან მიღებული ღვინომასალების ფიზიკურ-ქიმიური პარამეტრები


ნიმუში	მაცერაციის სანგრძლივობა სთ.	ეთილის სპირტის მოცული %	ტიტრული მჟავები გ/ლ	აქროლადი მჟავები გ/ლ	შაქრების შემცველობა %	საქროო გოგირდი მგ/ლ.	დაფანილი კესლები, გ/ლ	პლაზმოლაბი გ/ლ
თავკვერი საკონტრო- ლო	—	11.8	6.8	0.98	3.65	—	28.1	565
თავკვერი შამპ.-ის ენოდოგიი ს ინსტ.	15	13.4	6.3	0.58	0.74	137	31.1	682
	25	13.8	6.5	0.63	0.61	137	32.3	710
	35	13.9	6.7	0.72	0.48	138	34.5	733
თავკვერი “ლა ფორტე”	15	13.1	6.0	0.59	0.77	140	28.3	592
	25	13.4	6.1	0.59	0.74	141	30.2	619
	35	13.6	6.3	0.61	0.67	142	34.2	634
თავკვერი “ბიგეროუ”	15	13.1	6.2	0.62	0.77	143	27.9	657
	25	13.3	6.3	0.64	0.75	143	30.7	675
	35	13.6	6.5	0.64	0.66	144	34.1	689

მიღებული შედეგებიდან ნათელია, რომ პრეფერმენტული მაცერაციის ხანგძლივობის ზრდასთან ერთად, ალინიშნება ეთილის სპირტის მოც. წილის მატების ტენდენცია, რაც გამოწვეულია ფერმენტული აქტივობის შედეგად არეში რთული ნახშირწყლების პიდროლიზით, ასევე უმნიშვნელოდ მატულობს ტიტრული მჟავების შემცველობაც.


ფერმენტული აქტივობის ხარჯზე, ყურძნის კანის უჯრედის გარსის შემადგენელი ცელულოზისა და პექტინის დაშლამ, გამოიწვია კანიდან სხვადსხვა ორგანული ნაერთების ექსტრაცია. მაცერაციის ხანგრძლივობის ზრდასთან ერთად იმატებს აქროლადი მჟავების მასური კონცენტრაციაც ძმარმჟავაზე გადაანგარიშებით, რაც საკმაოდ არასასურველია, თუმცა დაშვებულ ზღვარს არ სცილდება.

ნათელია, რომ ორივე ჯიშის ყურძნის შემთხვევაში, ალკოჰოლური დუღილის შედეგად წარმოქმნილი ეთილის სპირტის მოცულობითი წილი ყველაზე მაღალია შამპანის ენოლოგიის ინსტიტუტის მიერ წარმოებული ფერმენტული პრეპარატისა და საფუვრის გამოყენებით დამზადებულ ღვინომასალებში, ასევე ფრანგული ფირმის ლა ფორტეს მიერ წარმოებული ფერმენტული პრეპარატისა და საფუვრის გამოყენებამაც დადებითი შედეგი მოგვცა, შედარებით სუსტი აღმოჩნდა გერმანული „ბიგეროუს“ ფირმის პროდუქცია.

ორივე ჯიშის შემთხვევაში პრეფერენციენტაციული მაცერაციის ხანგძლივობის ზრდასთან ერთად გაიზარდა დაყვანილი ექსტრაქტის, საერთო ფენოლური და პოლიფენოლური ნაერთების შემცველობა.



დიაგრამა 1. თავავერის ჯიშის ყურძნიდან დამზადებულ ნიმუშებში საერთო ფენოლური ნაერთების შემცველობა (გ/ლ.)



დიაგრამა 2. საფერავის ჯიშის ყურძნიდან დამზადებულ ნიმუშებში საერთო ფენოლური ნაერთების შემცველობა (გ/ლ.)

შედეგების მიხედვით საღებავი, საერთო ფენოლური და ექსტრაქტული ნივთიერებების მაღალი შემცველობით გამოირჩევიან შამპანის ენოლოგიის ინსტიტუტის მასალების გამოყენებით მიღებული ნიმუშები. ამ მხრივ შემდეგ საფეხურზე დგას კომპანია “ბიგეროუ”, ხოლო ზემოთ აღნიშნული ნივთიერებების ყველაზე მცირე შემცველობით გამოირჩევა “ლა ფორტეს” მასალებით დამზადებული ღვინომასალები.

ღვინომასალების ფიზიკურ-ქიმიური პარამეტრების განსაზღვრის შემდეგ შემოწმებული იქნა ნიმუშების ორგანოლეპტიკური მაჩვენებლები.

ტესტირების შედეგად ნათელი გახდა, რომ ხანგძლივი პრეფერმენტაციული მაცერაცია, ზრდის ღვინის ექსტრაქტულობას, ფენოლებისა და პოლიფენოლების რაოდენობას, მატებს მას სხეულს, მაგრამ უარყოფითად მოქმედებს ორგანოლეპტიკურ მაჩვენებლებზე. თავკვერის შემთხვევაში ტიპიურობიდან გამომდინარე, პრეფერმენტაციის ოპტიმალური დრო 15 სთ-ია, გახანგრძლივებული მაცერაციისას ნიმუშმა დაკარგა ჯიშასათვის დამახასიათებელი ჰარმონიულობა და სხვა თვისებები.

საფერავის ჯიშის ყურძნისაგან დამზადებული დურდოს 25 საათიანი პრეფერმენტაციული მაცერაციის ხანგრძლივობისას მიღებული იქნა უკეთესი ორგანოლეპტიკური თვისებების მქონე ნიმუში, ვიდრე 15 საათიანი და 35 საათიანი მაცერაციით დამზადებული დვინოები.

მიღებულ შედეგებზე დაყრდნობით, თავკვერისათვის პრეფერმენტული მაცერაციის განხორციელების ოპტიმალურ დროდ შეირჩა 15 საათი, ხოლო საფერავისათვის – 25 საათი. შესაბამისად დანარჩენი ნიმუშები არასასურველი ორგანოლეპტიკური მახასიათებლების გამო გამოეთიშნენ კვლევას.

ექსპერიმენტული კვლევის შედეგები საინტერესოა და ხელს შეუწყობს მწარმოებელს სასურველი ტიპის დვინოპროდუქციის მისაღებად ფერმენტული პრეპარატებისა და ტექნოლოგიური რეჟიმების სწორად შერჩევაში.

დისერტაციის შემდეგ ქვეთავს წარმოადგენს:

- ✓ დვინომასალების სტაბილიზაცია

რომელიც თავის მხრივ შეიცავს შემდეგ საკითხებს:

1. დვინომასალების შემოწმება სხვადასხვა სიმღვრივისადმი;
2. შედეგების ანალიზი;
3. სტაბილური ნიმუშების ფიზიკურ-ქიმიური ანალიზი.

აღნიშნულ ქვეთავში დეტალურადაა აღწერილი შესაბამისი მეთოდიკის მიხედვით ექსპერიმენტული ნიმუშების მდგრადობის შემოწმება სხვადასხვა სახის სიმღვრივის მიმართ, როგორიცაა: ოქსიდაზური კასი, ცილოვანი სიმღვრივე, შექცევადი კოლოიდური, პოლისაქარიდული, პოლიფენოლური სიმღვრივეები.

თავმკერის ჯიშის ყურძნიდან წარმოებულ საკვლევ ნიმუშებს, კერძოდ: შამპანის ენოლოგიის ინსტიტუტისა და კომპანია „ლა ფორტეს“ მასალების გამოყენებით მიღებული ნიმუშები ხასიათდებიან მიდრეკილებით შექცევადი კოლოიდური და პოლიფენოლური სიმღვრივეების მიმართ, ხოლო კომპანია „ბიგეროუს“ მასალების გამოყენებით მიღებულ ნიმუშს დამატებით აღენიშნებოდა მიდრეკილება ოქსიდაზური კასისადმი.

რაც შეეხება საფერავის ყურმის ჯიშისაგან დამზადებულ ექსპერიმენტულ ნიმუშებს, შამპანის ენოლოგის ინსტიტუტისა და კომპანია „ლაფორტეს“ პრეპარატების გამოყენებით მიღებულ ღვინომასალებს აღენიშნებოდათ მიღრეკილება: ცილოგანი, პოლოლიფენოლური, შექცევადი კოლოიდური სიმღვრივეების მიმართ, ხოლო კომპანია „ბიგეროუს“ მასალებით მიღებული ნიმუშები ხასიათდებოდნენ: ოქსიდაზური კასის, პოლიფენოლური და შექცევადი კოლოიდური სიმღვრივეების მიმართ მიღრეკილებით.

უნდა აღინიშნოს რომ, მიღებული შედეგები საკმაოდ საინტერესოა, რაც კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს სხვადასვა დასახელების პრეპარატების განსხვავებულ ზემოქმედებას ადგილობრივი ჯიშის ყურმიდან მიღებულ ღვინომასალებზე.


ნიმუშების სხვადასხვა სიმღვრივისადმი მიღრეკილების დადგენის შემდეგ, ექსპერიმენტული კვლევის შემდეგ საკითხს წარმოადგენს შედეგების ანალიზი. დისერტაციის აღნიშნულ ნაწილში მოძებნილია არსებულ პრობლემასთან ბრძოლის სხვადასხვა ხერხი, კერძოდ პირველ ეტაპზე მწარმოებლის რეკომენდაციებისა და ექსპერიმენტული ნიმუშების მდგომარეობის გათვალისწინებით, შერჩეული იქნა უელატინისა და ბენტონიტის კომპლექსური პრეპარატი – „გელ პლიუსი“, ხოლო შემდეგ საფერავის ღვინომასალებში აღნიშნული პრობლემის კვლავ არსებობის გამო, დამატებით ნაცადი იქნა ასევე შამპანის ენოლოგის ინსტიტუტის მიერ წარმოებული უელატინი „კოლ პერლი“ და ბენტონიტი „ბენტოსტაბი“,

მწარმოებლის რეკომენდაციების გათვალისწინებით დამზადებული იქნა სამუშაო ხსნარები აღნიშნული პრეპარატების მინიმალური, საშუალო და მაქსიმალური დოზით.


დისერტაციის ამ ნაწილში დეტალურადაა აღწერილი გამოყენებული პრეპარატების დოზები, სამუშაო ხსნარის მოცულობები და შემუშავებულია საკვლევი ღვინომასალების სტაბილიზაციის ანუ გაწებვის ოპტიმალური სქემები:

პრეპარატის „გელ პლიუსი“ სამუშაო ხსნარის მომზადება

↓ თავტიმალური დოზა 15 გ/ჰლ.
სამუშაო ხსნარის მოცულობა: 75მლ/ჰლ.



სქემა 1. თავკვერის ჯიშის ყურძნიდან დამზადებული დგინომასალის სტაბილიზაციის ოპტიმალური სქემა



**სქემა 2. საფერავის ჯიშის ყურძნიდან დამზადებული ღვინომასალის
სტაბილიზაციის ოპტიმალური სქემა**

როგორც ზემოთ იქნა აღნიშნული, დისერტაციაში შემდეგ საკითხს
წარმოადგენს: სტაბილური ნიმუშების ფიზიკურ-ქიმიური ანალიზი.
აღნიშნულ ნაწილში განსაზღვრულია სტაბილური ნიმუშების
დამახასიათებელი ძირითადი ფიზიკურ-ქიმიური პარამეტრები. შედეგები
მოცემულია ცხრილში 4.

**ცხრილი 4. სტაბილიზაციის შემდეგ საკვლევი ნიმუშების ფიზიკურ-ქიმიური
ანალიზის შედეგები**

საკვლევი ნიმუში	ჟოლის სპირტის გრძ.წ. %	ტიტრული გუაგები გ/ლ	აქტოლ- ილი გუაგები გ/ლ	ჯაჭვანი- ლი მესტრაქ- ტი გ/ლ	საქრო- ვენლები გ/ლ	პლიტე- ნოლები გ/ლ
თავკვერი შამპ-ის ენოლოგიის ინსტ.	12.4	7.3	0.57	24.9	3.69	518
თავკვერი ლა ფორტე	12.3	7.3	0.56	24.2	3.17	400
თავკვერი ბიგეროუ	12.0	7.0	0.57	24.6	3.16	449
საფერავი შამპ-ის ენოლოგიის ინსტ.	13.5	6.3	0.64	30.2	3.97	651
საფერავი ლა ფორტე	13.3	6.2	0.62	29.4	3.48	574
საფერავი ბიგეროუ	13.2	6.2	0.65	29.8	3.62	612

ანალიზების შედეგებზე დაყრდნობით შეიძლება აღინიშნოს, რომ
გაწვების ოპერაციის შემდეგ ექსპერიმენტულ ნიმუშებში უმნიშვნელოდ
შემცირდა ეთილ ალკოჰოლისა და ტიტრული მჟავების მოცულობითი
წილი, ასევე აღინიშნება აქროლადი მჟავების მცირეოდენი მატება.

დისერტაციაში აღწერილია და ნაჩვენებია გრაფიკების სახით
სტაბილიზაციის შემდეგ ღვინომასალებში შემავალი სხვადასხვა
ნივთიერებების პროცენტული კლების ტენდენცია, კერძოდ:

განხორციელებული ტექნოლოგიური ოპერაციების შემდგომ, ფენოლური ნაერთების მასური კონცენტრაცია შემცირდა: ფერმენტულ პრეპარატ „ექსტრაზიმით“ დამუშავებულ ნიმუშში – 0.36გ/ლ-ით თავკვერის – 0.41 გ/ლ. საფერავის შემთხვევაში; ლაფაზენით დამზადებულ ნიმუშში – 0.43 გ/ლ-ით თავკვერის, ხოლო საფერავის ნიმუშებში – 0.21 გ/ლ-ით; პანზიმით დამუშავებულში კი – 0.6 გ/ლ-ით თავკვერის, – 0.34 გ/ლ-ით საფერავის ნიმუშებში.


პოლიფენოლური ნივთიერებების დანაკარგი სტაბილიზაციის შემდეგ მერყეობს 8.3-12.4%-ის ფარგლებში. ამ მხრივ ყველაზე მცირე მაჩვენებელი დაფიქსირდა ფერმენტული პრეპარატით „ექსტრაზიმი“ დამუშავებულ ნიმუშებში: 9.2% თავკვერის, ხოლო 8.3% საფერავის შემთხვევაში. რაც შეეხება დაყვანილ ექსტრაქტს, ის თავკვერის ნიმუშებში სტაბილიზაციამდე არსებულ მაჩვენებელთან შედარებით შემცირებულია 3.1-3.6%-ის, ხოლო საფერავის ნიმუშებში – 2.9-3.2%-ის ფარგლებში.

საკვლევი ნიმუშების ფიზიკურ-ქიმიური ანალიზის შედეგების მიხედვით, დალექილი ფენოლური და პოლიფენოლური ნივთიერებების საერთო რაოდენობა ხაზს უსვამს დვინომასალების სტაბილიზაციის შემოთავაზებული სქემის ეფექტურობას.

ექსპერიმენტული ნაწილის შემდეგ ქვეთავს წარმოადგენს:

- ✓ რეზვერატროლის შემცველობის განსაზღვრა საკვლევ და საკონტროლო ნიმუშებში.

წარმოდგენილ ნაშრომში, ანტიოქსიდანტური ნაერთებიდან განსაკუთრებული ყურადღება ექცევა სტილბენურ ნაერთს, როგორიცაა – ტრიჰიდროქსისტილბენი ე.წ. რეზვერატროლი.



Resveratrol

სურათი 1. რეზვერატროლის სტრუქტურული ფორმულა

დვინოში ის წარმოდგენილია ცის და ტრანს იზომერების სახით. თუ მას შევადარებო C-ვიტამინს, იგი C-ვიტამინზე დაახლოებით 20–50-ჯერ


უფრო ეფექტურია. ეს ნაერთი წარმოადგენს ფიტოალექსინს – ანტისოკონდიტორს ფენოლურ ნაერთს, რომელიც ჩვეულებრივ სინთეზირდება ყურძენში ინფექციის და დაზიანების საპასუხოდ. ამიტომ რეზვერატროლის მიღება შეიძლება მხოლოდ დვინიდან და იგი პრაქტიკულად მცირე რაოდენობით მოიპოვება სხვა საკვებში.

სტაბილიზაციის შემდეგ ყველა ექსპერიმენტულ ნიმუშში განსაზღვრული იქნა რეზვერატროლის შემცველობა მაღალეფექტური სითხერი ქრომატოგრაფიის (HPLC) შესაბამისი მეთოდის საშუალებით.


საინტერესოა ის ფაქტი, რომ ერთიდაიგივე ჯიშის ყურძნიდან, სხვადასხვა ფერმენტული პრეპარატის გამოყენებით მიღებულ დვინო-პროდუქციაშიც რეზვერატროლის შემცველობა ერთმანეთისაგან მკვეთრად განსხვავდება, რაც შეიძლება აიხსნას ფერმენტული პრეპარატების განსხვავებული აქტივობებით.

საკვლევ ნიმუშებს შორის ფერმენტულ პრეპარატ “ექსტრაზიმი”-ს გამოყენებით მიღებული დვინის ნიმუშები ხასიათდებიან ცის და ტრანს რეზვერატროლის მაქსიმალური შემცველობით.


ანალიზის შედეგების თანახმად თავავერის ჯიშის ყურძენისაგან მიღებულ დვინოებში რეზვერატროლის შემცველობა შედარებით მაღალია. წარმოდგენილია შესაბამისი ქრომატოგრამები:




სურათი 2. თავავერის ჯიშის ყურძნიდან პრეპარატ “ექსტრაზიმის” გამოყენებით მიღებულ ნიმუშში ცის და ტრანს რეზვერატროლის ქრომატოგრამა




სურათი 3. თავკვერის ჯიშის ყურძნიდან პრეპარატ “პანზიმის” გამოყენებით
მიღებულ ნიმუშში ცის და ტრანს რეზვერატროლის ქრომატო-
გრამა




სურათი 4. თავკვერის ჯიშის ყურძნიდან პრეპარატ “ლაფაზიმი”-ს გამოყენებით
მიღებულ ნიმუშში ცის და ტრანს რეზვერატროლის ქრომატოგრამა



სურათი 5. საფერავის ჯიშის ყურძნიდან პრეპარატ “ექსტრაზიმის” გამოყე-
ნებით მიღებულ ნიმუშში ცის და ტრანს რეზვერატროლის
ქრომატოგრამა



სურათი 6. საფერავის ჯიშის ყურძნიდან პრეპარატ “პანზიმის” გამოყენებით
მიღებულ ნიმუშში ცის და ტრანს რეზვერატროლის ქრომატოგრამა



სურათი 7. საფერავის ჯიშის ყურძნიდან პრეპარატ “ლაფაზიმი”-ს გამოყენებით
მიღებულ ნიმუშში ცის და ტრანს რეზვერატროლის ქრომატოგრამა.

შედეგები მოცემილია ცხრილში 5.

ცხრილი 5. ექსპერიმენტულ ნიმუშებში ცის და ტრანს რეზვერატროლის
შემცველობა

ჟურნის ჯიში	გამოყენებული ფერმენტული პრეპარატი	ცის რეზვერატროლი მგ/ლ	ტრანს რეზვერატროლი მგ/ლ	საერთო რაოდენობა მგ/ლ
საფერავი	“ექსტრაზიმი”	1.56	0.77	2.33
თავკვერი	“ექსტრაზიმი”	2.1	1.04	3.14
საფერავი	“ლაფაზიმი”	0.6	n.d	0.6
თავკვერი	“ლაფაზიმი”	1.8	0.7	2.5
საფერავი	“პანზიმი”	0.49	0.17	0.66
თავკვერი	“პანზიმი”	1.55	0.67	2.22


დისერტაციის შედეგი ქვეთავია:

- ✓ არომატული ნაერთების შემცველობის განსაზღვრა საკვლევ
ნიმუშებში.


სადაც მოცემულია ექსპერიმენტულ ნიმუშებში შემავალი არომატუ-
ლი კომპონენტების რიცხვითი მნიშვნელობები გაზურ-სითხური
ქრომატოგრაფის (ჩეხური წარმოების აპარატი - “ქრომ-5”) საშუალებით;
ნაშრომში წარმოდგენილია შესაბამისი ქრომატოგრამები.

თავკვერის ჯიშის ყურძნიდან დამზადებულ ნიმუშებს შორის, არომატული ნაერთების მაღალი შემცველობით გამოირჩევა ფერმენტულ პრეპარატ „ლაფაზიმი“-ს გამოყენებით მიღებული ნიმუში. იგი ალდეჰიდებისა და ეთერების საერთო შემცველობით ბევრად აღემატება დანარჩენ ნიმუშებს.

საფერავიდან დამზადებულ ნიმუშებს შორის საუკეთესო შედეგი მოგვცა „ექსტრაზიმი“-ს გამოყენებამ. ისინი ძირითადად ხასიათდებიან შავი ქლიავის, ალუბლისა და ქოლოს სუსტი ტონებით, რაც გამოწვეული უნდა იყოს ფენილეთილალდეპიდის, ბენზალდეპიდციანეიდრინის, ანიზოლალდეპიდის შემცველობით.




სურათი 8. თავკვერის ჯიშის ყურძნიდან ფერმენტული პრეპარატების „პანზიმი“-სა (№1) და „ექსტრაზიმი“-ს (№2) გამოყენებით მიღებული საკვლევი ნიმუშების არომატული ნაერთების ქრომატოგრამა



სურათი 9. თავევერისა და საფერავის ჯიშის ყურძნიდან ფერმენტულ პრეპარატ „ლაფაზიმი“-ს (№3 - №4) გამოყენებით მიღებული საკვლევი ნიმუშების არომატული ნაერთების ქრომატოგრამა

1 – მეთანოლი; 2 – ალდეჰიდები; 3 – 6. პროპანოლი; 4 – ეთერები; 5 – ბუთანოლ-2; 6 – იზობუთანოლი; 7 – 6. ბუთანოლი; 8 – იზოამილი.



სურათი 10. საფერავის ჯიშის ყურძნიდან ფერმენტული პრეპარატების „პანზიმი“-სა (№5) და „ექსტრაზიმი“-ს (№6) გამოყენებით მიღებული საკვლევი ნიმუშების არომატული ნაერთების ქრომატოგრამა

1 – მეთანოლი; 2 – ალდეჰიდები; 3 – 6. პროპანოლი; 4 – ეთერები; 5 – ბუთანოლ-2; 6 – იზობუთანოლი; 7 – 6. ბუთანოლი; 8 – იზოამილი.

ექსპერიმენტულ ნიმუშებში შემავალი არომატული კომპონენტების რაოდენობა ნაჩვენებია ქვემოთ წარმოდგენილ ცხრილებზე.

ცხრილი 6. თავევერის ჯიშის ყურძნიდან დამზადებულ ნიმუშებში არომატული ნაერთების შემცველობა

№	არომატული ნაერთი მგ/ლ	გამოყენებული ფერმენტული პრეპარატი		
		„ექსტრაზიმი“	„ლაფაზიმი“	„პანზიმი“
1	მეთანოლი	22.3	24.2	21.7
2	ალდეჰიდები	10.1	15.1	9.9
3	6. პროპანოლი	1.9	2.0	1.3
4	ეთერები	38.3	67.8	39.7

5	ბუთანოლ 2	0.17	0.23	0.2
6	იზობუთანოლი	18.7	16.7	19.4
7	6. ბუთანოლი	0.4	0.5	0.53
8	იზოამილი	89.5	162.8	97.6

საფერავისაგან დამზადებულ ნიმუშებში, დაბალი კონცენტრაციის გამო, ვერ განისაზღვრა ბუთანოლ-2-ის მასური კონცენტრაცია, რაც სავარაუდოდ გამოწვეული უნდა იყოს მაღალი ტემპერატურული რეჟიმის დროს განვითარებული ინტენსიური დუღილისას, ნახშირორ-ჟანგთან ერთად ბუთანოლ-2-ის ჰერში გაბნევით. ორივე ჯიშის ყურ-ძნიდან პრეპარატ ლაფაზენის გამოყენებით დამზადებული ნიმუშების ანალიზის შედეგებიდან ნათლად ჩანს, რომ იზოამილის მასური კონცენტრაცია მაღალია.

ცხრილი 7. საფერავის ჯიშის ყურძნიდან დამზადებულ ნიმუშებში
არომატული ნაერთების შემცველობა

№	არომატული ნაერთი მგ/ლ	გამოყენებული ფერმენტული პრეპარატი		
		“ექსტრაზიმი”	”ლაფაზიმი”	”პანზიმი”
1	მეთანოლი	39.3	32.1	34.9
2	ალდეჰიდები	12.9	11.2	9.8
3	6. პროპანოლი	3.7	3.0	3.8
4	ეთერები	37.2	34.6	35.2
5	ბუთანოლ 2	–	–	–
6	იზობუთანოლი	19.7	17.4	20.4
7	6. ბუთანოლი	0.46	0.45	0.54
8	იზოამილი	96.6	101.6	97.6

შემდეგ ქვეთავს წარმოადგენს:

- ✓ საკონტროლო და ექსპერიმენტული ნიმუშების ორგანოლეპტიკური შეფასება.

ქვეთავში წარმოდგენილია ექსპერიმენტული და საკონტროლო ნიმუშების დეგუსტაციის შედეგები.

სადეგუსტაციო კომისიას ხელმძღვანელობდა სერტიფიცირებული დეგუსტატორი, საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს ოფიცილური სადეგუსტაციო კომისიის წევრი. კომისიის შემადგენლობაში შედიოდნენ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ქიმიური და ბიოლოგიური ტექნოლოგიების დეპარტამენტის პროფესორები და სასურსათო ტექნოლოგიის დარგის სპეციალისტები. ნიმუშების შეფასება განხორციელდა 5-ბალიანი სისტემით. შეფასების შედეგები ასახულია ცხრილზე 8.

ცხრილი 8. დეგუსტაციაზე წარმოდგენილი ნიმუშების შეფასება


ნიმუში №	ყურძნის ჯიში	გამოყენებული მასალების მწარმოებელი კომპანია	გემო	არომატი	ჰარმონიულობა	საერთო საშუალო შეფასება
I	საფერავი	"ლა ფორტ"	3.8	3.6	3.5	3.6
II	თავკვერი	შამპანის ენოლოგიის ინსტიტუტი	4.3	4.6	4.5	4.5
III	საფერავი	"ბიგეროუ"	4.1	3.7	3.9	3.9
IV	თავკვერი	საკონტროლო	3.1	3.2	3.3	3.2
V	საფერავი	შამპანის ენოლოგიის ინსტიტუტი	4.0	4.1	3.9	4.0
VI	თავკვერი	"ლაფორტე"	4.1	4.3	4.2	4.2
VII	საფერავი	საკონტროლო	2.9	3.0	3.0	3.0
VIII	თავკვერი	"ბიგეროუ"	4.4	4.5	4.2	4.4

ორგანოლეპტიკური შეფასება სრულ თანხედრაშია დაბორატორიული ანალიზის შედეგებთან, რაც იმაზე მიუთითებს, რომ ჩვენს მიერ შემუშავებული ტექნოლოგიური სქემით დამზადებული ნიმუშები მოწონებას იმსახურებს არა მარტო სპეციალისტების, არამედ მომხმარებლების მხრიდანაც.

შემდეგ ქვეთავს წარმოადგენს:

- ✓ ეგზოგენური ფერმენტული პრეპარატების გამოყენებით საფერავისა და თავკვერის ყურძნის ჯიშებისაგან დამზადებული ანტიოქსიდანტური ნაერთებით მდიდარი სუფრის წითელი დგინოების

აპარატურულ-ტექნოლოგიური სქემა, სადაც დაწვრილებით არის წარმოდგენილი მათი წარმოებისათვის საჭირო მოწყობილობა-დანადგარები და ტექნოლოგიური ოპერაციები, ასევე მათთვის დამახასიათებელი ფიზიკურ-ქიმიური და ორგანოლეპტიკური მაჩვენებლები.



სქემა 3. სუფრის წითელი ღვინოების წარმოების აპარატურული სქემა

1. კონტეინერი; 2. ბუნკერი; 3. კლერტგამცლელი; 4. დურდოს საქანი ტუმბო; 5. სულფიდოზატორი; 6. მაცერაციისა და ფერმენტაციისათვის განკუთვნილი, ტემპერატურული რეჟიმის რეგულირების მექანიზმით აღჭურვილ რეზერვუარი; 7-12. ტუმბო; 8. თვითნაღენის რეზერვუარი; 9. გაშლრძემუავა დუდილისთვის განკუთვნილი რეზერვუარი. 10-11-13. ღვინის დეკანტაციისას გამოსაყენებელი რეზერვუარები. 14. პრესი.

დასკვნა

განხორციელებული ექსპერიმენტის საფუძველზე, ევროპული წარმოშობის ფერმენტული პრეპარატებისა და საფუვარის წმინდა კულტურების გამოყენებით, წითელყურძნიანი ვაზის ჯიშებიდან მიღებული დურდოს პრეფერმენტაციული მაცერაციისა და ტკბილის ალკოჰოლური დუდილის წარმატებით განხორციელებისას ხარისხიანი ღვინოპროდუქციის მიღების მიზნით

დისერტაციაში წარმოდგენილია შემდეგი შემაჯამებელი დასკვნები:

1. პრეფერმენტაციული მაცერაცია $8-14^{\circ}\text{C}$ -ზე, პექტოლიტური და ცელულაზური აქტივობის ფერმენტული პრეპარატის გამოყენებით, ზრდის ფენოლური, პოლიფენოლური ნაერთებისა და დაყვანილი ექსტრაქტის მასის კონცენტრაციას ღვინოში.

მაცერაციის ხანგძლივობის ზრდასთან ერთად იმატებს აქროლოადი მუავების მასური კონცენტრაცია. ფერმენტული პრეპარატის გამოყენებისას პრეფერმენტაციული მაცერაციის ხანგძლივობასთან ერთად დვინომასალაში იზრდება ეთილის სპირიტს მოცულობითი წილი.

2. დადგენილია, რომ ინტენსიური შეფერილობის, ჰარმონიული, მწკლარტე და მწარე გემოვნური თვისებების არმქონე, სხეულიანი დვინის დასამზადებლად საფერავის დურდოს პრეფერმენტაციული მაცერაციის ხანგძლივობის დაგენილი ოპტიმალური დრო 25 საათია, ხოლო თავკვერის – 15 საათი.
3. შამპანის ენოლოგიის ინსტიტუტის მიერ წარმოებული ფერმენტულ პრეპარატ „ექსტრაზიმი“-ს და მშრალი კულტურული საფუგრის IOC-R 9002 გამოყენება რეკომენდირებულია მაღალშაქრიანი ყურძნის ტემპილიდან მშრალი დვინის დასამზადებლად. $8\text{--}14^{\circ}\text{C}$ -ზე საფერავის დურდოს 25 საათიანი პრეფერმენტაციული მაცერაციისას მოცემული ფერმენტული პრეპარატის გამოყენება საკონტროლო ნიმუშთან შედარებით დაყვანილი ექსტრატის მასის კონცენტრაციას საშუალოდ ზრდის 14.1%-ით, საერთო ფენოლების შემცველობას 20.1%-ით, პოლიფენოლების 25.6%-ით. ექსტრაზიმის გამოყენების შემთხვევში, სტაბილიზაციისა და ფილტრაციის შემდეგ, შექცევადი კოლოიდური, პოლიფენოლური და ცილოვანი სიმღვრივის მიმართ მდგრად დვინოებში ფენოლური ნაერთების დანაკარგი შეადგენს მხოლოდ 0.36 გ/ლ-ზე, რაც მეტყველებს პოლიმერული ნაერთების ფორმირების ტენდენციის ნაკლებობაზე.
„ექსტრაზიმი“-ს გამოყენება ეფექტურია საფერავის ყურძნის ჯიშიდან მაღლხარისხოვანი, სხეულიანი, არომატული ქართული დვინოპროდუქციის დამზადების მიზნით. ფერმენტულ პრეპარატ „ექსტრაზიმი“-თ დამზადებული საფერავისა და თავკვერის ჯიშის ყურძნიდან მიღებული ნიმუშები გამოირჩევა რეზვერატ-როლის ყველაზე მაღალი შემცველობით.

4. დადგენილია, რომ თავკვერის უურძნის ჯიშიდან არომატული ნაერთებით მდიდარი დვინოპროდუქციის დასამზადებლად რეკომენდირებულია ფრანგული კომპანია „ლაფორტე“-ს მიერ წარმოებული ლაფაზიმის ფერმენტული პრეპარატის გამოყენება. თავკვერისა უურძნის ჯიშისაგან წითელი დვინომასალების დამზადებისას „ლაფაზიმი“-ს გამოყენება მნიშვნელოვნად ზრდის ალდეჰიდების, უმაღლესი სპირტებისა და ეთერების შემცველობას.
5. ფერმენტული პრეპარატ პანზიმის გამოყენებისას დვინომასალებში ნაკლებია მეთილის სპირტის შემცველობა, რაც ერთმნიშვნელოვნად პოზიტიურ ფაქტორად უნდა იქნას მიჩნეული.
6. დადგენილია, რომ დაბალტემპერატული რეჟიმის გამოყენებისას მაღალშაქრიანი ტემპილის შემთხვევაში, არარეკომენდირებულია სპონტანური დუღილის წარმართვა, ველური საფუვრის ცხოველქმედება არ არის საკმარისი დუღილის სრულად დასამთავრებლად და საჭიროა დაბალი ტემპერატურის მიმართ რეზისტენტული მშრალი საფუვრის წმინდა კულტურის გამოყენება. პრევერმენტაციული მაცერერაციით, ფერმენტული პრეპარატების გამოყენებით, ალკოჰოლური დუღილის დაბალ ტემპერატურაზე წარმართვით შესაძლებელია თავკვერის ჯიშის უურძნისაგან დამზადდეს ინტენსიური შეფერილობის, სხეულიანი დვინოპროდუქციი ჯიშური მახასიათებლების, ყვავილოვანი და წითელი ხილის სასიამოვნო არომატის შენარჩუნებით.
7. საქართველოში ფართოდ დანერგილი მეთოდის ნაცვლად, რომელიც ითვალისწინებს დურდოს სითხესთან კონტაქტს მხოლოდ 6-7 დღის განმავლობაში და დუღილს $25-30^{\circ}\text{C}$, არომატული დვინის მისაღებად უმჯობესია დუღილი განხორციელდეს $18-22^{\circ}\text{C}$ -ზე და დურდოს დვინომასალებთან კონტაქტის დრო გაიზარდოს 14 დღემდე. ალკოჰოლური დუღილის დაბალტემპერატურული რეჟიმი, შესაბამისად სითხის უურძნის მაგარ ნაწილებთან გახანგრძლივებული კონტაქტი, - იძლევა ანტიოქსიდანტური ნაერთებით მდიდარი, ადამიანის

ჯამრთელობისათვის სასარგებლო დვინოპროდუქციის მიღების საშუალებას.

8. მშრალი დვინოების დამზადებისას, ალკოჰოლური დუღილის დაბალტემპერატურულ რეჟიმში წარმართვის და მაღალშაქრიანი ტებილის ფერმენტაციის მიზნით არ არის რეკომენდირებული მშრალი კულტურული საფუვრის Active Yeast SIHA 7 გამოყენება.
9. ბენტონიტ-უელატინის კომპლექსური პრეპარატის, „გელ პლიუსის“ გამოყენება ეფექტურია თავკვერის ყურძისაგან დამზდებული დვინომასალების სტაბილიზაციისათვის, ხოლო საფერავისათვის რეკომენდაციას ვუწევთ ბენტონიტის “ბენტოსტაბი” და ჟელატინის “კოლპერლი” გამოყენებას.
10. დადგენილია, რომ წითელ დვინოში რეზვერატროლის შემცველობაზე ზეგავლენას ახდენს გამოყენებული ფერმენტული პრეპარატები, ტექნოლოგიური ოპერაციები და ყურძნის ჯიში. აღნიშნული ტექნოლოგიური სქემის გამოყენებით მიღებულ ნიმუშებში ტრანს რეზვერატროლის შემცველობა აღემატება ცის რეზვერატროლის შემცველობას.

გამოქვეყნებული ნაშრომების ჩამონათვალი:

1. ხომასურიძე მ., მამაიაშვილი ხ., უიუილაშვილი ლ., დათუკიშვილი გ. დურდოს ცივი და ფერმენტული მაცერაციების ზეგავლენა წითელ დვინოში ფერმენტური ნაერთების შემცველობაზე. თბილისი: “შრომები” საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი. 2010, №3 (477), გვ. 56-61;
2. მამაიაშვილი ხ., ხომასურიძე მ., კალატოზიშვილი ე. თავკვერის ჯიშის ყურძნიდან დამზადებულ წითელ დვინოში ანტიოქსიდანტური ნაერთების შემცველობის განმსაზღვრელი ძირითადი ფაქტორების იდენტიფიკაცია. თბილისი: “შრომები” საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი. 2011, №3 (481), გვ. 21-27;
3. მამაიაშვილი ხ., უიუილაშვილი ლ., ხომასურიძე მ., კალატოზიშვილი ე. ფერმენტული პრეპარატისა და პრეფერმენტაციული მაცერაციის ზეგავლენა დვინის ფიზიკურ პარამეტრებზე. საქართველოს ქიმიური უნივერსიტეტი. 2011, №2, გვ. 173-177.
4. მამაიაშვილი ხ., ხომასურიძე მ., კალატოზიშვილი ე. მაცერაციის პროცესისა და ფერმენტული პრეპარატების ზეგავლენა წითელი დვინის არომატულ ნაერთებზე. GEORGIAN ENGINEERING NEWS. 2011, vol. 58, №2, გვ. 126-130.

Abstract

The experiment was arranged to develop an optimal technological scheme of a high quality, nutraceutical wine, rich with antioxidant compounds. The trial samples were prepared from grape sorts Tavkveri and Saperavi, by conduction of pre-fermentation maceration at 8-12°C temperature. During pre-fermentation maceration different exogenous enzyme preparations were used. Along with the experimental samples were prepared the control samples, without addition of any enzyme preparation and other additives such as sulfur dioxide dry cultured yeast and etc. The enzyme preparations which were selected for experiment are imported in Georgia from Europe and are accessible for local wine makers.

In the first stage of the research was investigated the influence of duration of pre-fermentation maceration on physical-chemical parameters and organoleptical features of wine. Based on received data, the established optimal duration of pre-fermentation maceration for wine made from Tavkveri grape sort is 15 hours and from Saperavi sort - 25 hours. The content of phenols and polyphenols have been increasing with the length of maceration, but wine obtains astringent and bitter taste. Concluded from style, it is considered that wine made from Saperavi must have more intensive color, extract and body, than wine, prepared from grape sort Tavkveri. There were foreseen this factor and modern oenological tendencies also for comparison of technological operations, alcoholic fermentation of only Tavkveri grape must was conducted at controlled temperature conditions at 18-22°C. Saperavi must was fermented ordinarily at 25-28°C temperature. The results, received by determination of physical-chemical parameters of experimental and control samples, show the influence of each used enzyme preparation on wine quality.

In addition, the disposition to turbidity were researched in wine materials. After that was conducted trial stabilization. The optimal technological schemes were worked out according to results. In order to appreciate the influence of used materials, after the stabilization were repeatedly determined the content of total phenols and polyphenols.

In the second stage of research were investigated the dependence of each enzyme preparation, technological operations, grape variety on the content of stilben compound-resveratrol and aromatic substances: high alcohols, aldehydes and esters.

By methodologically correct approaches, there were worked out, scientifically substantiated, technological scheme and technological instructions of wine with content of resveratrol, phenols, polyphenols and positive organoleptical properties.

Concluded from obtained results, the usage of chosen enzyme preparations and determined optimal technological operations give ability to produce nutraceutical wine, without bitterness and astringency, useful for human health, with rich color, avoid the deterioration of quality parameters and organoleptical properties.